

# საქართველოს კანონი

## ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

თავი I  
ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

### მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია;

გ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები;

დ) განსაზღვროს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იურიდიული პირების თანამშრომლობის პრინციპები.

### მუხლი 3. გერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის გერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადამიანით ვაჭრობა (გრეფიკინგი) – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარგანმრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება;

ბ) შანგაჟი – პირის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისათვის სახელის გამგეხი ან სხვა სამიანო ცნობების გახმაურების მუქარით;

გ) უმწეო მდგომარეობა – მდგომარეობა, როდესაც პირი სხვა პირზე მაგერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული, როდესაც პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური საშუალება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას;

დ) ექსპლუატაცია – პირის გამოყენება იძულებითი შრომისათვის ან მომსახურებისათვის, მისი დანაშაულებრივ ან სხვა ანგისამოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, სექსუალური ექსპლუატაცია ან სხვა სახის მომსახურების გაწვევის იძულება, აგრეთვე პირის გამოყენება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვისათვის ანდა სხვა მიზნით;

ე) იძულებითი შრომა – ნებისმიერი სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

ვ) სექსუალური ექსპლუატაცია – პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სექსობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით;

ზ) მონობის მსგავსი მდგომარეობა – „მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენციით განსაზღვრული პირის სტატუსი ან მდგომარეობა;

თ) მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება – პირისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევა, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და საგელეფონო კონტაქტების, აკრძალვა, კულტურული იზოლაცია, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულება;

ი) ადამიანით მოვაჭრე – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;

კ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი – პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიაღვა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი მიზანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლად;

ლ) წარმოშობის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან რომელშიც მუდმივად მცხოვრები პირი არის ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი;

მ) დანიშნულების სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს უწევს ექსპლუატაციას;

ნ) გრანზიგის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობა (გრეფიკინგი);

ო) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომლის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა სახის მომსახურება მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მიზნით;

პ) დაზარალებული – პირი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

#### მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება გრანსნაცონალური ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა ადამიანის უფლებების დაცვას, მათ დახმარებასა და რეაბილიტაციას, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას, ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კანონითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

#### თავი II

ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები და სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში

#### მუხლი 5. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების მექანიზმები არის იმ ორგანიზაციული, სამართლებრივი, კვლევითი, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შემცირებისაკენ, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ.

2. სახელმწიფოს საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში გულისხმობს:

ა) მოკლე- და გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ქვეყანაში სიღარიბის, ეკონომიკური განვითარების დაბალი ღონის, უმუშევრობისა და შესაძლებლობებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის შემცირებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზების ანალიზსა და შეფასებას;

ვ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) ფორმებისა და გავრცელების მასშტაბის კვლევასა და მონაცემთა შეგროვებას ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით;

დ) მიგრაციის სრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებას, ლეგალური შრომითი მიგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას;

ე) არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საფრთხის შემცირებას საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით, მათ შორის, შესაბამის სახელმწიფო უწყებებში „ცხელი ხაზების“ შექმნით, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებით, საქართველოს საპასპორტო-სავიზო სამსახურების, სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისა და საკონსულო დაწესებულებების უზრუნველყოფით საინფორმაციო მასალით საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური შრომისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრების შესახებ და სხვა;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (გრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეგნას;

ზ) სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ორგანიზებასა და ჩატარებას იმ სახელმწიფო მოხელეთათვის, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებს;

თ) ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის ექსპლუატაციის ხელშემწყობი ყველა ფაქტორის წინააღმდეგ.

## მუხლი 6. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების სფეროში

1. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებას, ქმნიან ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის საჭირო პირობებს, ახორციელებენ ამ დანაშაულის შესაძლო რისკის ჯგუფებისათვის სამართლებრივი, ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებას, აგრეთვე აგარებენ შესაბამის საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიას.

2. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და საზოგადოებისათვის მის ხელმისაწვდომობას, სამუშაოს მაძიებელთა შრომითი მოწყობის მიზნით საშუამავლო საქმიანობის განხორციელებას, უმუშევართა დასაქმებისათვის სათანადო პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშემწყობას.

3. გურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს გურისტების და დამსვენებლების დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამას და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში ადამიანით ვაჭრობასთან (გრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეგანას.

5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობებისა და საქართველოს ვიზების გაცემას, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა საქართველოს ფარგლებს გარეთ დასაქმების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს უცხო ქვეყნებთან შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებისათვის მოლაპარაკებების გამართვას, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა სამართლებრივი დახმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით – საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსაზღვრას.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულში მონაწილე პირთა გამოვლენის და მათი საქართველოში შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის აღრიცხვის უზრუნველსაყოფად აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირების გატარებასა და სასაზღვრო-გამშვები პუნქტების საქმიანობას, აგრეთვე თანამშრომლობს უცხო ქვეყნების შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან, შეისწავლის და აანალიზებს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის გამომწვევ მთავარ მიზეზებს და მათი აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

7. სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას და ამ მიზნით თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაწესებულებებთან.

### თავი III

#### ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

##### მუხლი 7. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება ამ დანაშაულის გამოვლენისა და გახსნის, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების განხორციელებისა და მათთვის სასჯელის შეფარდების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე რომლებიც აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვისა და დახმარებისათვის.

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფენ ამ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთისათვის პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების დადგენას, დაკავებას და მათ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სისხლისსამართლებრივი ღონისძიების განხორციელებას.

3. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვას, შეიმუშავენ სავალდებულო სახელმძღვანელო მითითებებს და თავიანთი თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფენ სპეციალური მოსამზადებელი კურსების ან სემინარების ჩატარებას ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების, მათდამი მოპყრობისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საქმეთა წარმოების თავისებურებებზე.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელებას, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა პირადი უსაფრთხოების დაცვას, ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

5. საქართველოს პროკურატურა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საქმეებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

6. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოს პროკურატურის და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნება ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მულტივერსიული ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მულტივერსიულ ჯგუფს უფლება აქვს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან, მათ შორის, საელჩოებისა და საკონსულოებისაგან, უშუალოდ მიიღოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

#### მუხლი 8. ერთიანი საინფორმაციო ბანკი

1. ადამიანით მოვაჭრეთა იდენტიფიცირებისა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად იქმნება ერთიანი საინფორმაციო ბანკი, რომელშიც შეიგანება ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულთან დაკავშირებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების, წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის შედეგად ან/და საერთაშორისო კრიმინალური პოლიციიდან (ინტერპოლიდან) და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია.

2. ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის წესს, მასში შესაგანი ინფორმაციის სახეებსა და შინაარსს, აგრეთვე შესაბამის ინფორმაციასთან დასაშვებ პირთა სიას ამტკიცებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

3. ერთიანი საინფორმაციო ბანკში შეგანილი ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გაცნობა და გაცემა ხდება საიდუმლო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ერთიანი საინფორმაციო ბანკში არსებული ინფორმაციის უნებართვო გამჟღავნება ისჯება კანონით.

მუხლი 9. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

2. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. ფონდს მართავს ფონდის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. ფონდის საქმიანობის კოორდინაციის მიზნით იქმნება სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შედიან შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.

5. ფონდის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ფონდის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

6. ფონდის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გაცემა და მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსება.

7. ფონდის შემოსავლების წყაროებია:

- ა) სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები;
- ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული სახსრები;
- გ) იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულებები;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 10. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობის, მათი საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის მიზნით საქართველოს პრეზიდენტი ქმნის ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებოათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში – საკოორდინაციო საბჭო).

2. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად შეიძლება შედიოდნენ შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, ამავე სფეროს სპეციალისტები და მეცნიერები.

3. საკოორდინაციო საბჭოს შექმნის, საკოორდინაციო საბჭოში პირის წარდგენისა და საკოორდინაციო საბჭოდან მისი გამოყვანის წესს, მის

შემადგენლობასა და საქმიანობის წესს (დებულებას) განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა და ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

#### თავი IV

### აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია

#### მუხლი 11. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი

1. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხს წყვეტს საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი პირის მიერ აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის) ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 48 საათისა. მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობას, საქმიანობის წესს და უფლებამოსილებას განსაზღვრავს საკოორდინაციო საბჭო.

2. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა უფლება, მიმართოს აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს) და ისარგებლოს ამ თავით გათვალისწინებული უფლებებით.

3. დაზარალებულისა და პროცესის სხვა მონაწილისათვის აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველს.

4. საქართველოს მოქალაქეზე, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც სხვა სახელმწიფოში ცნობილ იქნა აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლად, ვრცელდება ამ თავით გათვალისწინებული დებულებები.

#### მუხლი 12. მოსაფიქრებელი ვადა

1. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს უფლება აქვს ისარგებლოს მოსაფიქრებელი ვადით – არანაკლებ 30 დღისა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, სურს თუ არა, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებაში.

2. მოსაფიქრებელი ვადა აითვლება პირის მიერ აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებისათვის (თავშესაფრისათვის), სამართალდამცავი ორგანოსათვის ან შესაბამისი დაწესებულებისათვის მიმართვის დღიდან.

3. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში თავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

#### მუხლი 13. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებანი

1. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

2. აღამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე პროკურორის, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობით, სასამართლოს



(მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩაგარდეს დახურული სასამართლო სხდომა.

3. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

4. ადამიანით მოვაჭრე იურიდიული პირის მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

5. ადამიანით მოვაჭრეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.

6. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე, სისხლის სამართლის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონით.

მუხლი 14. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფილია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

2. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს დაუყოვნებლივ განუმარტონ მისი უფლება, მიმართოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს).

3. სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) ვალდებული არიან ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს მიაწოდონ სრული ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესახებ.

4. გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებულია დაზარალებულს მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლება-მოვალეობების და სამართლებრივი სტატუსის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია გამოძიების და სასამართლო პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

5. სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფო უზრუნველყოფს დაზარალებულს ადვოკატით, თარჯიმნით, აგრეთვე მისთვის სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მასალების მიწოდებას მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ ენაზე.

6. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფასო იურიდიული დახმარება და სასამართლო წარმომადგენლობა შეიძლება გაუწიოს ამ კანონის შესაბამისად საამისოდ უფლებამოსილმა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებამ (თავშესაფარმა) ან სხვა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაზარალებულსა და მოწმეს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც მათ სამართლებრივ დაცვასა და დახმარებას უწევენ, უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვონ თავიანთი და თავიანთი ოჯახის წევრების პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა ვინაობა, მისამართები და სხვა პერსონალური ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გამჟღავნება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9. დაზარალებულის, მოწმის ან მათი კანონიერი წარმომადგენლების თხოვნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 15. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული თავისუფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე და 362-ე მუხლებითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172<sup>3</sup> და 185-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. მას აგრეთვე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობისათვის, თუ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ვრცელდება ისეთ სამართალდარღვევებზე, რომლებიც პირის მიერ ჩადენილი იყო ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლად, დაზარალებულად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის სტატუსის მოპოვებამდე.

მუხლი 16. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის უფლება ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. თუ შეუძლებელია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მასზე ფონდიდან გაიცემა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია მოიცავს იმ სამართლებრივი, სოციალური და ორგანიზაციული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს:

ა) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების სრული დაცვით;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დისკრიმინაციის დაუშვებლობას;

გ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებას;

დ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სრულყოფილი რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის ხელშეწყობას;

ე) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის სრული ინფორმაციის მიწოდებას მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც ვათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვას, დახმარებას, რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელ არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა დაწესებულებებთან, რათა უზრუნველყონ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა და დახმარება, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოება, პირადი უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, უსაფრთხო რეპაგრაცია და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, აგრეთვე დანაშაულის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მექანიზმებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

მუხლი 18. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა,

დაზარალებულთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმები

1. სახელმწიფო ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობით უზრუნველყოფს მის მოთავსებას ღირსეული არსებობისათვის შესაფერის, უსაფრთხო საცხოვრებელში – ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში).

2. დაუშვებელია დაზარალებულის მოთავსება დაკავების, წინასწარი პატიმრობის ადგილებში, ციხეებსა და საპყრობილებებში, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევისა, თუ შესაძლებელია მათი სხვათაგან განცალკევებით მოთავსება.

3. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს მისი თანხმობით უწევს უფასო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას, აგრეთვე უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და დახმარებას. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) შეიმუშავებს და ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მოკლე- და გრძელვადიან პროგრამებს.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა თანხმობით უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროსთან ერთად შემუშავებულ პროფესიული სწავლებისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების ყველა დაწესებულებამ (თავშესაფარმა) უნდა გაითვალისწინოს მსხვერპლთა ასაკი, სქესი და სპეციალური მოთხოვნები, განსაკუთრებით, ბავშვების სპეციალური მოთხოვნები, შესაბამისი საცხოვრებლით, განათლებითა და მზრუნველობით უზრუნველყოფის თაობაზე.

6. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ ბავშვთა მიმართ გამოიყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 29 ნოემბრის „ბავშვთა უფლებათა“ კონვენციით და „ადამიანებით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებათა დაცვის მექანიზმები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ მიღებული სახელმძღვანელო მითითებები.

7. თუ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულის ასაკი არ არის დადგენილი და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი არასრულწლოვანია, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული არასრულწლოვნად ჩაითვლება და მისი ასაკის დადგენამდე მის მიმართ განხორციელდება სპეციალური დაცვის ღონისძიებები.

8. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა პირადი უსაფრთხოების დაცვა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ღონისძიებები ხორციელდება მათი თანხმობითა და მათი პერსონალური მონაცემების სრული გასაიდუმლოებით.

#### მუხლი 19. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარის) მოწყობა

1. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, მათი დახმარების, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) იქმნება ფონდთან, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტრუქტურული ერთეული.

3. ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

4. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.

5. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის ამ კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, მათ შორის, მისი პირადი უსაფრთხოების დაცვას, ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) ყოფნის დროს.

მუხლი 20. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ უცხოელთა სტატუსი და მათი რეპაგრაცია

1. უცხოელი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც ამ კანონით გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის.

2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, თავისუფლება საქართველოს აღმინისგრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე მუხლით განსაზღვრული ქმედებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

3. დაუშვებელია მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქართველოდან იმ უცხოელის გაძევება, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული.

4. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირზე ბინადრობის მოწმობას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე. ინფორმაცია, რომლითაც ხდება შუამდგომლობაში მითითებული პირის იდენტიფიცირება, საიდუმლო ინფორმაციაა და მისი გამჟღავნება ისჯება კანონით. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ზოგადი აღმინისგრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

5. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული პირი გადაწყვეტს, სისხლის სამართლის პროცესში შესაბამის დანაშაულზე ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან, მას სისხლის სამართლის პროცესის ან/და სამოქალაქო პროცესის დასრულებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ბინადრობის მოწმობა. ამ პერიოდის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება აქვს იმუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე და ისარგებლოს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი შრომითი უფლებებითა და გარანტიებით.

6. მოსაფიქრებელი ვადის გასვლის ან შესაბამისი სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ სახელმწიფო იღებს სათანადო ზომებს უცხოელის, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული, უსაფრთხო დაბრუნებისათვის მისი წარმოშობის სახელმწიფოში.

7. შესაბამისი სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ უცხოელს, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლი, დაზარალებული, მისი თხოვნის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება მიეცეს თავშესაფარი, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ წარმოშობის სახელმწიფოში დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება.

მუხლი 21. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლ, დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირთა უსაფრთხო რეპაგრაცია

1. საქართველოს საკონსულო დაწესებულებები და დიპლომატიური წარმომადგენლობები თანამშრომლობენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან, რათა ადამიანით

ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლზე, დაზარალებულზე უმოკლეს ვადაში გაცენ პირადობის მოწმობა ან/და საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა და უზრუნველყონ საქართველოში მისი უსაფრთხო დაბრუნება.

2. ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ორგანოები თანამშრომლობენ უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან.

## თავი V

### საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

მუხლი 22. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში განისაზღვრება „გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის, მისი დამატებითი ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, გრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, „ადამიანებით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის, საქართველოს მიერ შესაბამის სახელმწიფოებთან დადებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებების და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

მუხლი 23. თანამშრომლობა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად

ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისათვის, დახმარებისა და რეაბილიტაციისათვის ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების, ერთობლივი პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

## თავი VI

### გარდამავალი დებულებანი

მუხლი 24. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაგარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის განმხორციელებელი სახელმწიფო ორგანოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ გასაგარებელ ღონისძიებათა დაფინანსება.

2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შექმნის, საკოორდინაციო საბჭოში პირის წარდგენისა და საკოორდინაციო საბჭოდან მისი გამოყვანის წესი, მისი შემადგენლობა და საქმიანობის წესი (დებულება).

3. საკოორდინაციო საბჭომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი.

4. საკოორდინაციო საბჭომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში დაამტკიცოს:

ა) საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილება;

ბ) ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მოწყობისათვის აუცილებელი სტანდარტები, მოთხოვნები და მისი დებულების ნიმუში;

გ) სამოქმედო ინსტრუქცია ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა დასაცავად (ეროვნული რეფერალური მექანიზმი);

დ) ფონდიდან კომპენსაციის გაცემის წესი.

5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის შესაბამისი ქონების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში შეიმუშაოს ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) მსხვერპლთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის წესი და ფორმები.

8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ადამიანით ვაჭრობასთან (გრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხების შეგანა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა (სკოლების) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებში.

9. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში დაამტკიცოს ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის წესი.

10. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (გრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პირთა განსამზღვრა და სათანადო ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება, მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთ.

11. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს პარლამენტში „ადამიანებით ვაჭრობის

(გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის სარაგიფიკაციოდ წარდგენა.

თავი VII  
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 25. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა მე-13 მუხლის მე-4 პუნქტისა, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და 22-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

2. ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეგანის შემდეგ.

3. ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

4. ამ კანონის 22-ე მუხლი ამოქმედდეს „გრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან, მის დამატებით ოქმთან „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, გრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ და „ადამიანებით ვაჭრობის (გრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს შეერთების შემდეგ.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,  
2006 წლის 28 აპრილი.  
N 2944 - სს